გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

იბერია

№ 188 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 188

წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

„ИВЕРИА"

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჭეშრ:

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . 2 „ 50 „
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. „ივერიის" **კანტორა** ;ოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის" რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარავსლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარავსლა.)

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეკანეფშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში:—ნიკოლაძის „ურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბუნჩაში:—პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პაპოენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:—ანტონ კასრაძესთან.

საფოსტო აღრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіи".

სამშაბათს, 17 აგვისტოს,

ქართულ თეატრში

ბ.ბ-ნ მეურნალთა თანადასწრებით,

მზეზლიდ ერთი

საოცარ-საკვირველი სეანსი

ინდოელთა ფაკირების

**ბ-ნ ს

თებენ. ხოლო უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ხარჯის შეჩერებას შემოსავლის შემცირებაც მოსდევს. ესეც უნდა ითქვას საერთოდ იმ 134 მილიონ მანათზე, რომელიც ვითომ დაიზოგა და შესაძლოა ომისთვის გადადოს. თუ ერთის მხრივ ხარჯი შემცირდება, მეორეს მხრივ ამ ხარჯზედ დაყარებული შემოსავალიც იკლებს.

რაც შეეხება ახალ გარდასახადების შემოღებას, რასაც ხშირად იგონებენ სამხედრო ხარჯების დასაფარავად, ამ გარდასახადების განაღდება დამყარებულია საერთოდ ხალხის მდგომარეობაზედ. უეჭველია, ახალი გარდასახადი თვით ხალხს ხარჯს შეამცირებს და ამიტომ საერთო შემოსავალს ახალი გარდასახადი მეირედ თუ მოუმატებს და იქმნება დააკლოს კიდეც.

მაშასადამე, ომის ხარჯის დასაფარავად, კიდევ დაგვჭირდება ვისესხოთ იმდენივე, რავდენიც ერთხელ უკვე ვისესხეთ (ᲐᲐ.).

—

ერთი რუსის აფიცერი, რომელიც რუსეთისა და იაპონიის ფლოტების ბრძოლის დროს «ცესარევიჩზე» ყოფილა, შემდეგს იუწყება: ჩვენი ადმირალი სწორედ იმ დროს მოგვიკლეს, როდესაც ბრძანებას აძლევდა. იმავე დროს ყუმბარამ დაზოცა სამი აფიცერი და ოთხი მატროსი. მეორე ყუმბარა კოშკს მოხვდა და საწყობიც ააფეთქა. ვინც კი ახლო იყო, ან მოჰკლა და ან საშინლად დასჭრა. კომანდორს ხელი გაუპო და კისერშიც დაჭრა. მესამე ყუმბარამ საიალქნო გაანადგურა. სამივე ყუმბარა ხუთს წუთში დაგვატყდა. მეორემ, სხვათა შორის, ტელეფონი, ტელეგრაფი, კომპასი დაამსხვრია. მთელი გემი ცახცახებდა და პროწიალობდა, ვიდრე საჭაროდ ცოტაოდნად არ შევაკეთეთ. გვიბრძანეს, ბინტაუსკენ წაგსულიყავით. კომპასები სულ გაფუქებული იყო და კაცს შეეყურებდით, რომ გზა ვარსკვლავებს ეჩვენებინათ. იმ ღამეს იაპონელები ხუთჯერ დაგვეცნენ. ბევრი ნაღმიანი ყუმბარები დაგვიმიზნეს, მაგრამ არც ერთი არ მოგვხვდა. ცხრა ღელვიანი ჯავშანი ძალიან გამძლე ყოფილა,—12 დუიმიანმა ყუმბარამაც ვერა დააკლორა. რადგან საბოლეველი სულ გაფუქებული იყო ქვა-ნახშირი ბლომად დაიწვა; თუ კვლავ 120 ტონი ქმაროდა, ეხლა 350 ფუთი დაგვჭირდა იმ მანძილზედ, რომელიც იმ ღამეს გავიარეთ. როდესაც «ცესარევიჩი» ძინტაუს მივიდა, გერმანელები მაშინვე იარაღის აყრას შეუდგნენ. გემს ღუზებიც კი აჭედეჯოდა (რუსს. ვედ.).

ტ ფ ი ლ ი ს ი

—

პეტერბურგიდგან გაზ. «კავკასს» დეპეშით ატყობინებენ, რომ 12 აგვისტოს კავკასიის მთავარ-მართებელი თვ. გ. ს. გოლიცინი, მოციქულთა სწორის მთავრის ვლადიმერის შირველ ხარისხის ორდენის მიღების გამო, გაბედნიერებულ იქმნა და ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა.

*** ჩვენ დაგვვიწყდა მოგვეხსენებინა, რომ ახლად ნება-დართული საკვირველი «ბაკადული» მეორე რედაქტორად არის დანიშნული ნ. ი. ზურაბიშვილისა.

** ჩვენ გავიგეთ, რომ საქართველოს საეპარქიო სამოსწავლო — საბჭოს დამდგი სამოსწავლო წელისათვის დაუკვეთნია ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის წიგნები: «დედა ენა», «ბუნების კარი» და «რუსსკოე სლოვო», (ორივე ნაწილი) მაგრამ იმდენივე ეგზემპლიარი კი არა, რამდენიც შარშან დასჭირდათ, არამედ ნაკლები.

*** ბ-ნს მ. ჯანაშვილს შეუდგენია რუსულ ენაზედ და ცალკე წიგნად აბირთმის დაბეჭდილ: «ეკორი და მისნი მიდამანი» (Гори и его окрестности). წიგნში აღწერილია ისტორიულ-არქეოლოგიურად და გეოგრაფიულად გორი, უფლის-ციხე და ატენი. ბ-ნს ჯანაშვილს განუერაბავს რამდენიმე ამ ხასიათის წიგნი კიდევ შედგენილს. მეორე წიგნი იქმნება: «მცხეთა და მისნი მიდამანი» (არმაზი. ზიო-მღვიმე, ზედაზენი, ჯვარის მონასტერი და სხვ.).

** ტფილისის ქალაქის გამგეობამ 12 აგვისტოს დაადგინა, იშუამდგომლოს იუსტიციის მინისტრის წინაშე ტფილისში ქალაქის ხარჯით მომრეგებელ მოსამართლის ახალ თანამდებობის დაარსების შესახებ. თუ სამინისტრომ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა, ქალაქის კასიდან უნდა გადადოს ერთხანად მოსამართლის სადგომის მოსაწყობად 550 მან. და ყოველ წლობით 5,800 მან., ამ მოსამართლე

თები, ე. ი. ნუტროზა, სუმატოზა, ხორცის წვენი, პროსსით გამოწყური და სხ.

ღვინო და სხვა მაგარი სასმელები საჭარგებლო არის, თუ ავადმყოფი სვამს ცოტას, რაც საჭიროა მხოლოდ მადის აღსაძგრელად. სისხლის რწყვევის დროს კი მაგარი სასმელები მავნებელი არის.

საჭიროა ავადმყოფი ცხოვრებდეს ისეთს ოთახში, რომ შიგ მუდამ კარგი ჰაერი იდგეს და სინათლე სუფევდეს. ქლექიანისთვის ორი ოთახია საჭიროა სადგომად: ავდარში, როდესაც ერთს ოთახშია იყო, მეორე ოთახის ფანჯრის სარკმელი გადებული უნდა იყოს და ჰაერი იცვლებოდეს, იწმინდებოდეს. ოთახი უნდა იყოს დიდი, რომ ავადმყოფს ჰაერი ჰყოფნიდეს. სახლს უნდა ჰქონდეს ცემენტის სძირკველი, საზოგადოდ სახლი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შიგ სინესტე არ სუფევდეს. სინათლე, მზის სხივები ეგრეედვ საჭიროა, როგორც სუფთა ჰაერი. მზის სხივები რამდენადაც გამანადგურებელია ჩვენის უხილავის მტრების, პატარა მცენარეკეებისა, ბაქტერიებისთვის, იმდენად მაცოცხლებელიც არის კაცისთვის. რაც უფრო სინათლიანი ოთახია, მით უფრო საღია.

ქლექიანი უნდა ერიდოს გაცივებას. გაცივება აღწნებს, აძლიერებს ქლექს. ამიტომ ქლექიანის ოთახი ცივი არ უნდა იყოს, შიგ თანაბარი სითბო უნდა იდგეს დღე-და ღამე. აგრეთვე ქლექიანს, როდესაც გარედ დადის სეცივეში, თბილი ტანსაცმელი უნდა ეცვას, მაგალითად, მატყლის საცვლები და სხვა.

მავნებელია ქლექიანისთვის დიდხანს გაჩერება ისეთს ოთახში, სადაც თავი მოუყრია ბევრ კაცს და ჰაერი გაფუჭებულია. მავნებელია აგრეთვე მტერიანი ჰაერი. ქლექიანმა დიდხანს არ უნდა იმუშაოს არც გონებით, არც ფიზიკურად. ასე გასანჯეთ, ხანგრძლივი ლაპარაკიც კი ძლიერ მავნებელია მისთვის. საჭიროა ქლექიანმა. თუ მტადე ღარიბი არ არის, რამდენსამე ხანს, სანამ კარგად შეიქნებოდეს, თავის საპროფესიო საქმეს თავი დაანებოს. მავნებელია თუთუნის წყვა, ლოთობა, გარყვნილება. ავადმყოფმა მშვიდობიანად, აღუშფოთებლად, მოსვენებით უნდა ატაროს დრო და მაშინაც კი უნდა ზრუნავდეს თავის ჯანმრთელობისთვის, როდესაც ქლექი შეჩერებულია, ანუ გაჰქრალია.

თუ ქლექიანს აწუხებს ან სიცხე, ან ღამის ოფლი, ან უმადობა, ან ფაღარათიანი ქვლები, ან თუ ყელის ტკივილი აქვს, ან თუ სულის ამოთქმა უჭირს, ან სისხლის რწყვევა აქვს, ასეთ შემთხვევებში ოთახის ავადმყოფმა ყოველის აუცილებლად ექიმს უნდა მიმართოს.

რაც მეტ ხანს ატარებს ქლექიანი გარედ, სუფთა ჰაერზე, მით უძჯობესია. დღეში უკანასკნელი სამი საათი მაინც უნდა გაატაროს გარედ. ამასთანავე, რადგან ქლექიანი უნდა ერიდებოდეს გაცივებასა და ხვლებას, გაცივებისაგან გამოწვეულს, გარედ ყოფის დროს მან ძუძედრო, უქარო ადგილს უნდა შეაფაროს თავი. როდესაც სწვიმს, ქლექიანი აიეანზე უნდა ატარებდეს დროს, თუ კი აიეანს ქარი არ ჰხვდება. მზე აგრედვე საჭიროა, როგორც ჰაერი. ამიტომ ქლექიანის სამყოფს მზე უნდა ანათებდეს.

უმჯობესია, ქლექიანი სცხოვრებდეს ისეთ ადგილას, სადაც ამინდი ხშირად არ იცვლება და ქარი არ იცის. მაგალითად, შავის ზღვის პირად, სადაც კი მთები ქარს არ უშვებს, უქარობისა და ზღვის გამო ამინდი არ არის ისე ცვალებადი, როგორც სხვაგან. ამიტომ შავის ზღვის ნაპირები საუკეთესო სამყოფია ქლექიანებისათვის, მეტადრე ზამთარში. ამას გარდა, ჩვენი მაღლიანი ქვეყანა ბუნებისაგან უხვად არის დაჯილდოვებული ისეთის ადგილებით, სადაც ქლექიანებს შეუძლიანთ მოიპოვონ განკურნება. აბასთუმნისათანა ადგილები ბევრია ჩვენში. ზაფხული რომ კარგია ასეთს მაღლობებზე, ამას დამტკიცება არ უნდა; ახლა დამტკიცებულია, რომ მთის სიმაღლეები ზამთარშიაც დიდად სასარგებლოა ქლექიანებისათვის.

მთები იფარავს ავადმყოფებს ცივის ქარებისაგან. დიდის თოვლის გამო ამინდი არ იცვლება ხშირად, ჰაერი სუფთაა, უნისლობის გამო მზიანი დღეები მაღალის მთის ხეობებში ბევრად მეტია, ვიდრე დაბალ ადგილებში. მზე იქ უფრო ჰბრწყინავს, ვიდრე დაბალ ადგილებში; რადგან ჰაერი უფრო თხელია, მსუბუქია, ამიტომ კაცს იქ უფრო დიდხანს შეუძლიან გაატაროს გარედ დრო, რადგან უფრო არ შესცივა. ამას გარდა, მაღალ-მთიან ადგილებში კაცს მადა ემატება და სისხლიც უკეთდება. ამ მიზეზთა გამო ეს ადგილები საუკეთესო სამყოფად უნდა ჩაითვალოს ქლექიანებისათვის, როგორც საზაფხულოდ, აგრეთვე საზამთროდ.

ეს კია, რომ, თუ ქლექიანი მეტად სისხლ-ნაკლულოვანია, ან ქლექი მეტად მორეული აქვს, შუდმივი სიცხე აქვს ან გულის სისუსტე, ან კიდევ სხვა ძმიმე სნეულება ფილტვებისა, ან თუ დამეუშუკებული აქვს ყელი, ამ შემთხვევაში მისთვის მაღალის მთას ჰაერი მავნებელია და საუკეთესო სამყოფ ადგილად უნდა ჩაითვალოს ზეშიდ აღწერილი ნაპირები შავის ზღვისა.

თუ ქლექიანმა უეცრად სისხლი აარწყია, უნდა გულ-ალმა დაწვეს და მოისვენოს, არ გაინძრეს, არ ილაპარაკოს, არ აღშფოთდეს. რასაკვირველია, ამასთანავე უნდა მოიწვიოს იმ წამსვე ექიმი.

ექიმი გასაგ წერეოდა.
(შემდეგი იქნება).

ᲝᲜᲢᲐ ᲠᲐᲖ ᲫᲕᲔᲚ ᲜᲐᲬᲘᲗᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ყველასათვის დიდად საინტერესოა ძველი ნაწილი, რომელიც ასე თუ ისე ჰფენს ნათელს ჩვენს ძველს ისტორიას და თვალ-წინ გვიყენებს წარსულს და ლამპრად უძღვის აწმყოს, და მომავალს. ეს ძველი ნაწილი უფრო მეტი ტაძრებში და მონასტრებში ინახებოდა და ინახება ეხლაც; ბევრია მივიწყებული და მეცნიერებისგან ხელშეუხებელი, ამისთვისაა, რომ ჩვენი ისტორია ალაგ-ალაგ ძაფგაწყვეტილია, კავშირ-მოყლებული, და ბევი ადგილი ბუნდოვანია. ყველასათვის ცხადია, რომ ამ ნაკლს შევსება უნდა და ეს იქმნება მაშინ, თუ რომ მთლად ჩვენი ძველი ნაშთები გამოქვეყნებული იქმნება. სხვათა შორის, მე ვნახე ერთი ძველი კონდაკი, რომელიც, მე ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი უნდა იქმნეს ისტორიისათვის; ამისთვის განვიზრახე ამ წიგნის გამოქვეყნება. ეს კონდაკი არის დაბეჭდილი, როგორც ბოლოში სწერია: ათას შვიდას ათსა წელსა (1710) ქრისტეს აქეთ, მაშასადამე, ეს წიგნი არის ასს ოთხმოცდა თოთხმეტის წლისა. დავიწყებ თავიდან. პირველ გვერდზედ ასე სწერია: კონდაკი: მერე ჩამოთვლილია შინაარსი კონდაკისა, მის შემდეგ ასე სწერია: აწ ახალი დამადებული ქართულსა ენასა ზედა: ტამსა ამაღლებულნი მეფისა უფლისა, ვახტანგისა: გაიმართა ხელითა გერმანე მღვდელ-მონაზონისათა. მერე ხანია ზევით ნიშნებით. შემდეგ არის ხელითა მეფეტამბე მიხაილ სტეფანეშვილისა უნგროელახელისა ქალაქსა ტფილისს ქს აქეთ Კ Ი Მ. მერე არის ბეჭედი, გარეშემო აქვს წარწერა, რომელიც ვერ გავარჩიე. გარეშემო აქვს ხუცური ასოებით ჩ: ი: ს: ᲗᲘ: ᲗᲘ: ᲗᲘ

ფრთის წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება. ელიან, რომ ბრძოლა დიდი იქნებაო. შესაძლებელია, მიიღოს მონაწილეობა ოქუს ლაშქარმაც, რომელიც სდგას ანშანჯუანის ახლო.

ლიაოდანი. (რეიტერი). რადგან ხუნხუუნები გამოჩნდნენ, საშიშია უკაცოდ სიარული. რაც იაპონელებმა დაშიკაოდგან დაიწყეს ლიაოიანის სამხრეთად, ჩინელთა საქციელი გაუკუღმართდა. ლიაოიანში ყველა კარგ გუნებაზე არიან. 35 კილომეტრზე ლიაოიანიდან სამხრეთ-აღმოსავლეთად დიდი ბრძოლა იყო. ელიან საერთო იერიშს იაპონელებზე.

ლონდონი. გაზეთ «ტაიმსს» სწერენ პლიმუტიდან, 'სანაშირო ტრანსპორტი «ტენკალეიანი», რომელიც კარდიფს მიდიოდა ნაშირით დატვირთულ ინგლისს ფლოტისათვის, 30 ივლისს ერთის საათით შეაჩერა რუსის კრეისერმა «ურალმა», «ურალმა» სხვა გემებიც გააჩერა.

ჩიფუ. ნამდვილ წყაროდან პარტარტურის შესახებ შემდეგს იუწყებიან აღმოსავლეთზე ადგილი დაგუშანსა და სამგლე მთების შუა იაპონელების ხელშია; დასავლეთით იმათ უპირავთ ორატუშანი, მაგრამ რადგან ნაღმებია ჩაწყობილი, წინ ვერ მიდიან. მტრედის ნავსადგური იაპონელების ხელშია; ჩრდილოეთით ამათ უპირავთ ტალიენჩენი. იაპონის მოწინავე რაზმები რავდენჯერმე შევიდენ შიგნით ფორტებში, მაგრამ ყოველთვის უკან აბრუნებდენ. იაპონიის ჯაშუშები ცდილობენ გასჭრან ელექტრონის გამყვანი მავთულები. პორტ-არტურიდგან გამოსულნი ამბობენ, რომ 5 ათასი კაცია რუსისა დაჭრილი. ისინი ამბობენ, იაპონელებს ისევ უპირავთ პოზიციები ჩოუშანს სიმაღლეებზეო.

სტამბოლი. (კორ. ბიურო). 31 ივლისს ბითლისის ახლო შეტაკება მოუხდათ სოფხთა შეამბოხეთა ბრბოსთან, რომელშიაც 40 კაცი იყო. კიდევ ჰქონდა შეტაკება ჯარებთან თვით ბითლისში. სოფხთა ბრბოების ბელადი ინდრონიკია.

ანტვერპენი. გოობგენში, ნიუ-იორკის პირდაპირ, ცეცხლი მოეკიდა ნავთის საწყობებს, უკიდია 100 ათასს კუბ. მეტრს ნავთისას, რომელიც რუსთა საზოგადოებებს ეკუთვნის. ამერიკის საზოგადოების «Standard Oie»-ს საწყობებსაც ალი მოედვა, ქარი ხელს უმართავს.

კავშენი. ქალაქის საბჭომ მემკვიდრის დაბადების გამო აპატია ღირიმებს «ნედოიმკა» და 50 ათასი მან., სთხოვენ ქალაქის საქალაქო გიმნაზიას მემკვიდრის სახელი დაეჭვას.

სლავიანსკი. მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების სახსოვრად საღგურს სლავიანსკიზე აკურთხეს საყდარი წმინდა ალექსის სახელზე, ეკლესია რკინის გზის მოსამსახურეთა ხარჯით აშენდა.

კურსკი. ქალაქის საბჭომ მემკვიდრის დაბადების სახსოვრად დაადგინა გამართოს იმის სახელით სასწავლებელი და ეპატიოს 5 ათასი მან. «ნედოიმკა» ქალაქის ღარიბებსა.

არხანგელსკი. საბჭომ დაადგინა მემკვიდრის დაბადების გამო გამართოს ორკლასიანი სახალხო სასწავლებელი, დაერქვას მისი სახელი და ეპატიოს «ნედოიმკები» 1902 და 1903 წლისა.

სიზრანი. საბჭომ გამოაცხადა მილოცვა მათს უდიდებულესობათა, სთხოვა მომავალ სპრეველო სასწავლებელს მემკვიდრის სახელი დაერქვას, 5 პროცენტი მოსწავლეთა გაანთავისუფლონ ქალქის სასწავლებლებში სწავლის ფულიდან და 15 ათასი მანათი ეპატიონ ხალხსა.

14 აგვისტო.

პეტერბურგი. მანჯურიის ჯართა სარდალი ბედნიერ იქმნა და მიიღო ხელმწიფე იმპერატორისაგან შემდეგი უმოწყალესი დეპეშა: «**დღეს მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოოზის ძის ნათელღების დროს, მისმა უდიდებულესობამ** მე სულითა და გულით ვფიქრობდით შორეულ-აღმოსავლეთის მხე ჯარებზე და მეზღვაურებზე. გულში ლოცვით მოვიწოდეთ ისინი. შიმრქმელებად ახლად ნათელღებულს ცესარევიჩისა. დეე, დიამოხოს გულსა მისსა მთელს სიცოცხლეში სულიერი კაეშირი ყველა იმ ძვირფასისადმი ჩვენთვის და მთლად მთელს რუსეთისათვის, მთავარ უფროსებიდან ჯარის კაცამდე და მეზღვაურამდე, რომელთაც თვისი მხურვალე სიყვარული სამშობლოსი და ხელმწიფისა დაამტკიცეს თავგანწირულის ღვაწლითა, რომელიც აღსავსეა თმენითა, ვნებითა და სიკვდილითა. ნიკოლოოზი».

უმაღლესი ბრძანება სასახლის მინისტრისა: «ჩვენი მუდამი ზრუნვა იყო, სამხედრო მოსამსახურე შვილთა აღზრდა «უკანზებში» ყოფილიყო. ამისა გამო ბრძანებებში ფინანსთა მინისტრის სახელზე, რომელიც 14 მაისს 1896 წელს მიეცა, ვბრძანეთ ჩვენ, ვვირგვინის კურთხევის დღის აღსანიშნავად, ყოველ წლობით ეძღეოდეს სახელმწიფო ხაზინიდან, 1 იანვრიდან 1897 წლ. ისი ათასი მანეთი სტიპენდიების მოსამატებლად სამხედრო უწყების ქალიშვილთათვის საქალაქო ინსტიტუტებში, რომელიც იმპერატრიცა მარიამის უწყებაში ითვლებიან, და ათიათასი მანეთი იმავე საგნისათვის საზღვაო უწყების მოხელეთა ქალიშვილების აღსარზდელად. აწ, იაპონიასთან ატეხილის ომის გამო, უფრო მრჩობელი მნიშვნელობა ეძლევა, რომ უზრუნველ ყოფილ აღზრდა შვილებისა ჩვენთა მხნე მხედართა, რომელიც თვის სიცოცხლეს მსხვერპლად სწირავენ ბრძოლის ველზედ ხელმწიფისა და სამშობლოსათვის, იცავენ რა სახელისა და ღირსებას რუსეთისას. სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობად ვხადით ამ ბავშვებზედ ზრუნვას, რომელნიც არიან უსახლოებელნი მოყვასნი ხელმწიფა იმპერატორიცის ალექსანდრა თეოდოროს ასულის სიყვარულით აღსავსე დედობრივის გულისა, და ამ სიხარულისა გამო, რომელიც მოგვიელანა ჩვენ და რუსეთს უფალმა «ძით, რომ დაგვეპადა მემკვიდრე ცესარევიჩი, მივაპარობთ მათდამი ჩვენს ფიქრსა, აღიზარდნენ იგინი პატიოსან და განათლებულ კაცებად, წმინდად დაიცვან ხსოვნა თვისთა მშობელთა და მტკიცედ და შეურყეველად იყოს დიადი სახელი რუსეთისა მისის უკეთესთა შვილთა მფარველობითა. გვსურს რა თვით გამოვუცხადოთ მზრუნველობა სიმხედრო მოსამსახურეთა შვილებსა, რომელთაც იენეს, ანუ თავი იჩინეს ომში, გიბრძანებთ თქვენ, ოისი იმპერატორებითი უმაღლესობის შემკვიდრე ცესარევიჩის ალექსი ნიკოლოოზის ძის დაბადების სახსოვრად ეძღეოდეს ყოველ წლობით მომავალი სამოსწავლო წლიდან: 1. ჩვენის საკუთარის კაბინეტიდან საჭირო ჯაში დასაარსებლად ასის სტიპენდიისა, ან რიცხვი 50 ხელმწიფე იმპერატრიცას სახელითა და 50 ჩვენის სახელითა ყველა სამხედრო და საზღვაო სასწავლებლებში ვაკებისათვის სამხედრო მოსამსახურეთა, რომელნიც მოსწყდნენ, დაიჭრნენ, ანუ თავი ისახელეს ომში; 2. საუფლისწულო მამულების მართველობისაგან მთელის ჩვენის ოჯახის სახელითა შემოსავალი ორი მილიონის მანეთისა, რომელიც უნდა ინახებოდეს სარგებლიან ქაღალდებად და უნდა გაუნაწილდეს ოჯახებს სამხედრო მოსამსახურეთა, რომელნიც მოსწყდენ, დაიჭრნენ ანუ თავი ისახელეს ომში; ეს იქნება შემწეობა განსაკუთრებით შვილების აღსაზდელად და სხვა და სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად». ნამდვილზედ სის იმპერატორებითის საკუთარის ხელით მოწერილი არს: **ნიკოლოოზი**». პეტერბურგი, 11 აგვისტო 1904 წლისა.

ფუკდენი. (საკ. კორ.). საეკვო აღარ არს, რომ ხანა სამზღვისისა გათავდა. ძალიან მალე დაიწყება საქმის გადამწყვეტი ამბები. გზები შრება. ჯარებს აღარ აწუხებს საშინელი სიცხეები.

ხარბინი. გენერალი რენენკამფი უკეთესობაშია.

ჩიფუ. როგორც ჩინელები იუწყვიენ, 11 აგვისტოს იაპონის გემების სროლამ პორტ-ატურზედ ფუკად ჩაიარა; ჩვენმა ნაპირის ბატარეებმა გემები უკან გაიბრუნეს. ხმაა, რომ იპონელთა ორი ნაღმოსანი ძალიან დაზიანდეო.

სტამბოლი. ბოსფორში გაიარა რუსეთის გემთა საზოგადოების და ვეპრობის გემებმა «იუნონა» და „მეტეორმა“.

მოსკოვი. ოთხივე ფაკულტეტის პირველ კურსზე მიიღეს 748 კაცი. 1200 თხოვნაა მიცემული.—საბჭომ დაადგინა მიულოცოს მათ უდიდებულესობათა და სთხოვოს მომავალს სამოგელო სასწავლებელს ცესარევიჩის სახელი დაერქვას, ეპატიოს სწ ელის ფული მოსწავლეთა 5 პროცენტისა და ეპატიოს ათასი მანეთი ღარიბებსა.

სოლონსკი. სმოლენსკის გუბერნიის ერობის ადგილობრივ სამმართველოს წითელის ჯვრის შეერ ოგბული რაზმი წავიდა შორეულს აღმოსავლეთს და 125 საწოლი წაიღო.

ანტვერპენი. 40 ნავთის ქვაბ დან გობ-კენში 58 ცეცხლმა შთანთქა, ზარალი რამდენიმე მილიონია და დაიფარება იმით, რომ დაზღვეული ყოფილა.

დროებით რედაქტორი **ბრ. ეიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში დაბეჭდილი ცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქის საბჭომ 1,000 მანეთი გადასდო ღარიბ მცხოვრებთა დასარიგებლადაო, ნამდვილი არ არის; ყოველ დღე ამის შესახებ აურრეული თხოვნები მოდის ქალაქის გამგეობაში. ამიტომ, ყოველი ფორმალური და სიტყვიერი თხოვნა ამის თაობაზედ უყურადღებოდ იქმნება დატოვებული. (1—5—1).

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამეურნალოში,

რომელიც იმყოფება **მბოს უმაღლესობის ბრანგ ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, წერვებისა, საჭირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქირურგიულ-მეცროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ.ს სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ვასი დღე-ღამეში ბამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანაოდან 3 მანეთამდე



ვერცხლისა ოქროსი

ტფილ. გამოფენა.

ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (ტრასკების)

ა. ა. თუთაევისა

თხუთმეტ ამ თვის იგდასადამ შემოკვეთილ გამზადებ რკინის სახურავებისთვის და ბატკანებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ეკეთ ხარ ფერს ზეთით ბაღანიდან საღებავებს (краски). ბეჭრდება ეკეთ ხარ ეკეთ ხარ ეკეთ ხარ, რომ საღებავები ამნება უტეხარი და მადალის ღირსების მასალით შეხვეულები *), «ბედიდა» და სხვა საღებავებიც კვეტნება დამზადებულ; ვინც მოთხოვნებს, ხელისუფლებიც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ადგილ. შე თითონაც დაუზედამ ხაბეს, თუ საჭირო იქნება. ბრეტდეე ეფილ ხასხვებს ამენებს, შეკვეს ეკეთ ხელისები, ეკეთ ხელისეა სახურავებისთვის საბადებ ბაბეებ დაეთმობა ბრეტსეკურსტის ფასებზედ ფეთი მასეთ ნაკლებ. საქონელი ფასდებ ბითაც ბაბეზეეს 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ალადო თუთაევი, ელისაბეტის ქუჩა, დადებეში, საეთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძველი საცნობია და ფასმის შემდეგ ბალე ფუბდება, ამისათვის მადალის ღირსების მასალით შეხვეული საღებავი ერთი ხუთად მეტს ვასძლებს. (20—12)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დაწელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მიიშმობანი ეძღევთ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ეჭნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) **მსწრაფელ-წერა** და **წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)**

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან, ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდრიხოვის, 4 9, სერგიევსკის და დერშოსტოფის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გიეგზავნის.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელ ს. ბ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, **კურსების სწავლა ყოველ დღეა.** (24—13)



1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

ამხანაგობა
რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურისა
პეტერბურგში
დაარსებული 1860 წელს
რეზინის კალოშებისა

სთხოვენ შეიყველეთ: ყურადღება მიაქციონ კალოშის ნიშანს:



განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ„ წითელ სამკუთხეში (ფაბრიკის ნიშანი). (60—33).

Дозволено цензурою Тифлисъ 13 августа 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семин № 12